საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაგრანეთის განძი

მაგრანეთის განძი, VI–VII სს. სასანური და ბიზანტიური ვერცხლის მონეტების განძი (15 ც.). აღმოჩენილია სოფ. მაგრანეთის (თიანეთის მუნიციპ.) განაპირას ერთ–ერთ სათავსში. განძის შემადგენლობა ასეთია: ა) სასანური დრაქმები: სასანელი ხოსრო I-ის (531–579), მოჭრილი ზარანჯსა და ისტახრში – 2 ც.; ჰორმიზდ IV-ის (579–590), მოჭრილი ზარანჯში, არდაშირ–ჰვარესა და სირაიანში – 7 ც., ხოსრო II-ის (590–628), მოჭრილი 578–592 ზარანჯსა და სირაიანში – 2 ც; ბ) ბიზანტიური მონეტები: იმპ. ჰერაკლესი და ჰერაკლე-კონსტანტინესი (610–641) – 4 ც. განძი შეიძლება ჩამარხული იყოს VII ს. II ნახ-ში.

ლიტ.: დ უ ნ დ უ ა გ., ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2008.